International Journal of Social Sciences

Caucasus International University
Volume 5, Issue 1

Journal homepage: http://journal.ciu.edu.ge/

DOI: https://doi.org/10.55367/LLQW7040

The Hybridity of Modern Threats - a Challenge for Democracy

Maka Arakhamia [1]
Doctor of Social Sciences, Georgian Technical University
Ministry of Internal Affairs of Georgia,
Strategic Communications Department

A B S T R A C T

Security issues are among the most pressing problems in today's world. In the wake of the development of technologies and the digital revolution, the understanding of the concept of security itself has also undergone modernization. The dynamic changes taking place in the modern world have shown us that the concept of a safe environment is rapidly becoming obsolete in our reality. Hybrid threats, including the spread of disinformation, have become a major challenge for democracies and an international order based on liberal common values. In the context of the rapid evolution of digital technologies, disinformation has become a key tool for shaping public opinion, influencing elections, and destabilizing societies. State and non-state actors utilise social media platforms to disseminate disinformation, thereby exacerbating divisions within societies and between states. While disinformation is not a new phenomenon, the scale and speed of its spread in the digital age make it more potent and difficult to contain.

An analysis of hybrid strategies employed by various authoritarian regimes reveals that controlled narratives can offer strategic advantages without resorting to military force. As hybrid methods become increasingly sophisticated in the wake of the development of digital technologies, democratic states must recognize the seriousness of the threat and take measures to protect their institutions. Without a coordinated effort, the use of information as a weapon and other hybrid tools will further weaken trust in democratic societies and increase the risks of destabilization in favor of authoritarian regimes.

The article reviews contemporary threats that have hybrid characteristics and affect both international and individual state and community security. It analyzes what hybridity is, what the characteristics of hybrid actions are, what threats they contain and to what extent they affect modern societies. The paper examines the challenges of democracy in the context of hybrid threats and proposes solutions to address them.

The aim of the paper is to identify and analyze new threats in the context of the geopolitical situation of the modern world, especially in terms of the information and media space. This allows us to better understand future challenges to national security on a global and regional scale.

[1] makaarakhamia@yahoo.com

Keywords: *Hybrid threats, Hybrid war, Information war, International security; Globalization; Russia; China; Disinformation, Democracy, Cybersecurity, Information crisis, Media, Relativism.*

თანამედროვე ჰიბრიდული საფრთხეები და დემოკრატიის გამოწვევები მედიის კონტექსტში

მაკა არახამია
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო,
სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

დღევანდელ მსოფლიოში უსაფრთხოების საკითხები ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატურია. ტექნოლოგიების განვითარებისა და ციფრული რევოლუციის კვალდაკვალ თავად უსაფრთხოების კონცეფციის გააზრებამაც მოდერნიზება განიცადა. იმ დინამიურმა ცვლილებებმა, რაც თანამედროვე სამყაროში მიმდინარეობს, გვაჩვენა, რომ უსაფრთხო გარემოს ცნება ჩვენს რეალობაში სწრაფად მოძველებადი გახდა. ჰიბრიდული საფრთხეები და, მათ შორის, დეზინფორმაციის გავრცელება მთავარი გამოწვევა გახდა დემოკრატიებისთვის და ლიბერალურ საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგისთვის. ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი ევოლუციის პირობებში დეზინფორმაცია საზოგადოებრივი აზრის ფორმირების, არჩევნებზე ზემოქმედებისა და საზოგადოებების დესტაბილიზაციის ძირითადი ინსტრუმენტი გახდა. სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორები იყენებენ სოციალური მედიის პლატფორმებს დეზინფორმაციის გასავრცელებლად, რაც ამძაფრებს საზოგადოებებში, ასევე სახელმწიფოებს შორის განხეთქილებას. მიუხედავად იმისა, რომ დეზინფორმაცია არ არის ახალი ფენომენი, ციფრულ ეპოქაში მისი გავრცელების მასშტაბები და სიჩქარე მას მეტად ქმედუნარიანს და ძნელად დასამარცხებელს ხდის.

სხვადასხვა ავტორიტარული რეჟიმების მიერ გამოყენებული ჰიბრიდული სტრატეგიების ანალიზი აჩვენებს, რომ კონტროლირებად ნარატივებს შეუძლიათ სტრატეგიული უპირატესობების უზრუნველყოფა სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე. რადგანაც ციფრული ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ ჰიბრიდული მეთოდები სულ უფრო სრულყოფილი ხდება, დემოკრატიულმა ქვეყნებმა უნდა აღიარონ საფრთხის სერიოზულობა და მიიღონ ზომები საკუთარი ინსტიტუტების დასაცავად. კოორდინირებული ძალისხმევის გარეშე ინფორმაციის იარაღად გამოყენება და სხვა ჰიბრიდული ინსტრუმენტები კიდევ უფრო დაასუსტებს ნდობას დემოკრატიულ საზოგადოებებში და გაზრდის დესტაბილიზაციის რისკებს ავტორიტარული მმართველობების სასარგებლოდ.

სტატიაში მიმოხილულია თანამედროვე საფრთხეები, რომლებიც ჰიბრიდულ თვისებებს ატარებენ და გავლენას ახდენენ როგორც საერთაშორისო, ასევე ცალკეული ქვეყნებისა და

საზოგადოებების უსაფრთხოებაზე. გაანალიზებულია, რა არის ჰიბრიდულობა, როგორია ჰიბრიდული ქმედებების მახასიათებლები, რა საფრთხეებს შეიცავს ისინი და რამდენად ახდენს გავლენას თანამედროვე საზოგადოებებზე. ნაშრომში საუბარია ჰიბრიდული საფრთხეების პირობებში დემოკრატიის გამოწვევებზე და მათი გადაჭრის გზებზე.
ნაშრომის მიზანია ახალი საფრთხეების იდენტიფიცირება და ანალიზი თანამედროვე მსოფლიოს გეოპოლიტიკური სიტუაციის კონტექსტში, განსაკუთრებით საინფორმაციო და მედია სივრცის თვალსაზრისით. ეს საშუალებას გვაძლევს, უკეთ გავიგოთ ეროვნული უსაფრთხოების მომავალი გამოწვევები გლობალური და რეგიონული მასშტაბით.

საკვანძო სიტყვები: *ჰიბრიდული საფრთხეები, ჰიბრიდული ომი, საინფორმაციო ომი, საერთაშორისო უსაფრთხოება, გლობალიზაცია, რუსეთი, ჩინეთი, დეზინფორმაცია, დემოკრატია, კიბერუსაფრთოება, საინფორმაციო კრიზისი, მედია, რელატივიზმი.*

1. შესავალი

21-ე საუკუნის ახალი საფრთხეების სახეობები კაცობრიობისთვის სახიფათო გამოწვევაა და ექსპერტებისა და ანალიტიკოსების განსჯა-კვლევის საგანს წარმოადგენს. დღის წესრიგში დგას თანამედროვე სახელმწიფოებისა და საზოგადოებების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ეფექტური ინსტრუმენტებისა და მეთოდების შემუშავება. გლობალიზაციის მზარდი ტენდენციებიდან გამომდინარე, დღევანდელ მსოფლიოში უსაფრთხო გარემოზე საუბრისას თვალსაჩინოა შიდა და გარე საფრთხეებს შორის საზღვრების გაბუნდოვნება. სამხედრო და არასამხედრო საფრთხეები საშიშროების თვალსაზრისით ერთმანეთს თითქმის უტოლდება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, უსაფრთხოებისადმი ყოვლისმომცველი მიდგომა მოიაზრებს არა მხოლოდ სამხედრო საფრთხეების პრევენცია-გაუვნებელყოფის ღონისძიებებს, არამედ, პირველ რიგში, ჰიბრიდული ომის გააზრებას და მის წინააღმდეგ ბრძოლას.

სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემის პოტენციური საფრთხეების განხილვისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს საფრთხეების მრავალფეროვნებასა და სირთულეს. თანამედროვე პოლიტიკური სამყაროს მთავარი მახასიათებელია მისი ცვალებადობა, რომელიც გავლენას ახდენს ჩვენს გარშემო არსებულ ყველა მოვლენაზე. დღეს უსაფრთხოების გარემო ჰეტერონომიულია წყობის, დროისა და მონაწილეების თვალსაზრისით. მსოფლიოში მომხდარი დინამიური ცვლილებები ნიშნავს, რომ თანამედროვე უსაფრთხოების გარემოს ცოდნა სწრაფად ხდება მოძველებული.

ნაშრომის ამოცანებია, თვისებრივი კვლევის მეთოდის, კონტენტ-ანალიზის საფუძველზე გავარკვიოთ, რას გულისხმობს უსაფრთხოების ცნება თანამედროვე სამყაროში; რას

წარმოადგენს ჰიბრიდულობის ფენომენი; როგორია ჰიბრიდული საფრთხეების იდენტიფიცირებისა და მასთან ბრძოლის გზები; რა გავლენას ახდენენ ჰიბრიდული და საინფორმაციო ომები დემოკრატიაზე; რა გამოწვევების წინაშე დგას თანამედროვე მედია; როგორია ციფრული ეპოქის დადებითი და უარყოფითი ასპექტები.

თანამედროვე საფრთხეები, რომლებსაც აქვთ ჰიბრიდობის ნიშნები, გავლენას ახდენენ როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ და საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე, დემოკრატიაზე. ციფრულ ეპოქაში დღის წესრიგში დადგა სწორად გავაანალიზოთ რა არის ჰიბრიდულობა, რას წარმოადგენს ჰიბრიდული მოქმედებები, როგორია ამგვარი მოქმედებების ფაზები, მათი გავლენა საზოგადოებაზე და, ზოგადად, დემოკრატიაზე. სწორი მონიტორინგისა და ანალიზის სისტემების შემუშავებით შესაძლებელი ხდება, ჰიბრიდული საფრთხეებიდან მომდინარე ზიანი მინიმუმამდე შევამციროთ და მეტიც, თავიდან სრულიად ავიცილოთ.

2. უსაფრთხოების თანამედროვე გაგება და ჰიბრიდული საფრთხეები

2.1. უსაფრთოების თანამედროვე განზომილება

ეროვნული უსაფრთხოების მდგომარეობა წარმოადგენს თანამედროვე გარემოში სახელმწიფოს ფუნქციონირების რთული სტრუქტურის ანარეკლს. გლობალიზაცია და მისი თანმდევი ახალი ტენდენციები, მოვლენები და პროცესები განაპირობებს ახალი ფენომენების შექმნას, როგორც შესაძლებლობების, ასევე საფრთხეების თვალსაზრისით. ისინი ხორციელდება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და სოციალურ სფეროში, მათ შორის ეროვნულ, ეთნიკურ და რელიგიურ დაჯგუფებებში. სტრატეგიული უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე პროცესების დინამიკა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რაც ქმნის გაურკვევლობისა და სიტუაციის არაპროგნოზირებადობის მაღალ ხარისხს. ცივილიზაციის განვითარება ადამიანების მიერ საფრთხეების აღქმის ცვლილებებს იწვევს. გლობალიზაციის შედეგად აღმოცენებულმა საფრთხეებმა ხელსაყრელი პირობები შექმნა ჰიბრიდული ომის ახალი სუბიექტების გაჩენისთვის, რომლებიც შეიძლება იყვნენ როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო აქტორები, სხვადასხვა ორგანიზაციები, ტრანსნაციონალური კორპორაციები, ბიზნეს და კერძო ინტერესთა ჯგუფები და ა.შ..

სტრატეგიული უსაფრთხოების გარემოში მუდმივად მიმდინარე ცვლილებებზე მოქმედი ფაქტორების მრავალფეროვნება და სირთულე განპირობებულია პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ინფორმაციული ფაქტორებით, რომლებიც სახელმწიფოს ეროვნული და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის საშიშროებას წარმოადგენენ. გლობალიზაციამ და საინფორმაციო ტექნოლოგიურმა პროგრესმა კაცობრიობას

სიკეთეებთან ერთად, ახალი გამოწვევებიც მოუტანა. ამ ახალმა მოცემულობამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას, როგორც გლობალურ სტაბილურობას, ასევე გამოიწვიოს დესტაბილიზაცია ცალკეულ ქვეყნებში. თანამედროვე დაპირისპირებებში იარაღისა და შეიარაღებული ძალების ნაცვლად უმეტესწილად გამოყენებულია ფინანსების, ბუნებრივი რესურსების, დიპლომატიის, პროპაგანდის, დეზინფორმაციისა და საინფორმაციო ომის სხვა ტექნიკების ძალა.

არსებული გეოპოლიტიკური სიტუაციის ანალიზი და უსაფრთხოების გარემოში ახალი საფრთხეების იდენტიფიცირება საშუალებას იძლევა უკეთ გავიაზროთ ეროვნული უსაფრთხოების მომავალი გამოწვევები გლობალური და რეგიონული მასშტაბით. უსაფრთხოება განიხილება, როგორც თეორია და პრაქტიკა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სუბიექტმა შეძლოს გადარჩეს და განახორციელოს საკუთარი ინტერესები შესაძლებლობების, ხელსაყრელი გარემოებების გამოყენების, გამოწვევების გათვალისწინების და რისკების შემცირების გზით. თანამედროვე ომი მოიცავს მრავალ ოპერაციას, რომლებიც ხასიათდება არარეგულარული ომით - ოპერაციები, რომლებშიც მტერი არ არის ეროვნული სახელმწიფოს რეგულარული სამხედრო ძალა.

უსაფრთხოების ცნება ეხება არა მხოლოდ ისეთ სუბიექტს, როგორიცაა სახელმწიფო, არამედ არასახელმწიფო აქტორებსაც. ის მოიაზრებს სასიცოცხლო ინტერესების დაცვას ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამხედრო, სოციალურ, გარემოსდაცვით და საინფორმაციო სფეროებში, ასევე ეხება ეროვნული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. ამიტომ, თითოეული სუბიექტის (სახელმწიფოს) ძირითადი მიზანი უნდა იყოს მომავლის შესახებ სწორი ანალიზისკენ სწრაფვა და უსაფრთხოების გარემოში იმგვარად ფუნქციონირება, რომ დაიცვას საკუთარი ღირებულებები, ასევე გააძლიეროს სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიკური მდგომარეობა და სახელმწიფო ადმინისტრაციის ეფექტურობა.

როდესაც საუბარია სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე თანამედროვე ჰიბრიდული საფრთხეების გავლენის საკითხზე, გასათვალიწინებელია „საფრთხის“ დეფინიციის გააზრება. თავად ტერმინი - „საფრთხე“, თანამედროვე რეალობაში ნიშნავს გარკვეულ ფსიქოლოგიურ ან ცნობიერ მდგომარეობას, რომელიც გამოწვეულია მოვლენების აღქმით, რომელიც სუბიექტურად ფასდება, როგორც არახელსაყრელი ან საშიში. მეორე მხრივ, ის გულისხმობს ობიექტურ ფაქტორებს, რომელიც იწვევს გაურკვევლობას და შეშფოთებას. მაშასადამე, „საფრთხის“ ცნება თითოეული მოქალაქის ცნობიერების სფეროშია და სუბიექტური ხასიათისაა. ამგვარად, საფრთხისგან დაცვისა და პრევენციის მეთოდების განხორციელება შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უსაფრთხოების სისტემა ეფექტურად იქნება რეგულირებული. უსაფრთხო გარემოს არქიტექტურის, მისი გაუმჯობესების და უფრო მშვიდობიანი მომავლის დაგეგმვისას უსაფრთხოების საკითხი სისტემურად უნდა იქნას განხილული. მნიშვნელოვანია იმ საშიშროების გაცნობიერება,

რომელიც არსებობს, როგორც ფენომენი (მოვლენა, პრობლემა, სიტუაცია) და ახდენს ნეგატიურ გავლენას სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტების ფუნქციონირებაზე. ამიტომაც, რადგანაც უსაფრთხოება წარმოადგენს როგორც ობიექტურ, ასევე სუბიექტურ მდგომარეობას, ხოლო საფრთხეები წარმოადგენს გარკვეული ასპექტების ერთობლიობას, შეგვიძლია, ვისაუბროთ უსაფრთხოებასა და საფრთხეებს შორის კორელაციაზე. შვეიცარიელმა პოლიტიკურმა ექსპერტმა დანიელ ფრეიმ (Bobrow D. B., Haliżak E., Zięba R., 1997) ჩამოაყალიბა უსაფრთხოების ბუნება შემდეგი მოდელების გამოყენებით:

1. დაუცველობის მდგომარეობა - უსაფრთხოების არარსებობა, როდესაც არსებობს ნამდვილი საგარეო საფრთხე და ამ საფრთხის აღქმა მართებულია;
2. აკვიატებული მდგომარეობა, როდესაც უმნიშვნელო საფრთხე აღიქმება, როგორც დიდი;
3. ცრუ უსაფრთხოების მდგომარეობა წარმოიშობა მაშინ, როცა საგარეო საფრთხე სერიოზულია, მაგრამ აღიქმება, როგორც უმნიშვნელო;
4. ნამდვილი უსაფრთხოების მდგომარეობა დგება მაშინ, როცა საგარეო საფრთხე უმნიშვნელოა და სათანადოდ სწორად აღიქმება.

თანამედროვე სამყაროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია, ჩამოვაყალიბოთ უსაფრთხოების სისტემის შემდეგი ორი ასპექტი: 1.უსაფრთხოება, როგორც წინააღმდეგობა საფრთხის მიმართ, რაც გულისხმობს სახიფათო სიტუაციებისადმი ობიექტის მგრძნობელობის დონეს; 2.სისტემის უსაფრთხოება, რომლის ქვეშაც მოიაზრება მისი უნარი, საკუთარი ღირებულებები გარე და შიდა საფრთხეებისგან დაიცვას.

გეოპოლიტიკურ გარემოში უსაფრთხოების სისტემის პოტენციური საფრთხეების განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს საფრთხეების მრავალფეროვნებას და, შესაბამისად, პრევენციისა და შედეგების შერბილებისთვის გასატარებელი ღონისძიებების სირთულის ხარისხს. დღევანდელ მსოფლიოში უსაფრთხოების გარემო ხასიათდება როგორც შიდა და გარე, ასევე სამხედრო და არასამხედრო საფრთხეებს შორის ბუნდოვანი საზღვრებით. ყოველივე ამის გათვალისწინებით, უსაფრთხოების საკითხებისადმი ყოვლისმომცველი მიდგომა მოიცავს არა მხოლოდ სამხედრო საფრთხეების, არამედ მთელი ჰიბრიდული სპექტრის ანალიზს.

2.2. ჰიბრიდულობის ფენომენი

გლობალიზაცია და სწრაფად განვითარებადი ციფრული ტექნოლოგიები განაპირობებს ისეთი არაპროგნოზირებადი ფენომენების წარმოშობას, რომლებიც აღარ არის შეზღუდული გეოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ბარიერებით. მართალია, მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობს სამხედრო გამოწვევები და კონვენციური ომები, განსაკუთრებით ეროვნულ ან ტერიტორიულ კონფლიქტებთან დაკავშირებით, მაგრამ თანამედროვე სამყაროში სწრაფი ტემპებით მყარდება ე.წ. ჰიბრიდული მეთოდების ჰეგემონობა. გარკვეულ სახელმწიფოებს საერთაშორისო ასპარეზზე დომინირება სურს, რაც განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის მზარდ ეკონომიკურ უთანასწორობას ახალისებს. ქვეყნების არათანაბარი ეკონომიკური განვითარება, ტერიტორიულ და სხვა სახის კონფლიქტებში სამხედრო აქტივობა იწვევს სოციალურ დაძაბულობას და უკონტროლო მიგრაციას. ვითარება შეიძლება, კიდევ უფრო გამწვავდეს მასმედიის მონაწილეობითა და ზეგავლენით. შედეგად, საზოგადოებაში ხდება მენტალობის, ცხოვრების სტილის, სოციალური და პოლიტიკური ქცევის ცვლა და ახალი პრეფერენციების დამკვიდრება.

დღეს ინფორმაცია და სხვადასხვა მედიასაშუალებით გავრცელებული გზავნილები გადამწყვეტ როლს თამაშობს არა მხოლოდ ახალი თაობის საზოგადოების ჩამოყალიბებაში, არამედ სხვადასხვა სახის კონფლიქტების ესკალაციაშიც. ტექნოლოგიურმა პროგრესმა და თანამედროვე მედიასაშუალებებმა დასაბამი მისცა ახალი, ბევრად უფრო ეფექტური და, შესაბამისად, პროპაგანდის უფრო საშიში ინსტრუმენტების შექმნას. ამ ყოველივემ შესაძლებელი გახადა, პროპაგანდა და დეზინფორმაცია გამოყენებულ იქნას გაცილებით უფრო ეფექტურად, ვიდრე ოდესმე. ჰიბრიდული ომის ეს ინსტრუმენტები წარმატებით გამოიყენება იდეოლოგიური, ეთნიკური, რელიგიური, ბიზნეს და სხვა ინტერესების კუთხით კონფლიქტის მონაწილეთა ემოციებზე ზემოქმედებისთვის. ამრიგად, თანამედროვე სამყაროს ჰეტეროგენულობა ფუნდამენტურ გავლენას ახდენს კონფლიქტების წარმოშობასა და მათი გადაწყვეტის გზებზე.

თანამედროვე კონფლიქტების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ისინი ჰიბრიდული ბუნებისაა. ისინი წარმოადგენს ტრადიციული საფრთხეებისა და ისეთი ახალი ფენომენების ერთობლიობას, როგორიცაა: ტერორიზმი, კიბერტერორიზმი, საინფორმაციო ომი ფსიქოლოგიური, პროპაგანდისტული და იდეოლოგიური მიზნების მისაღწევად. ბრძოლა მიმდინარეობს სხვადასხვა განზომილებაში მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით. ჰიბრიდული ომის წარმოების კვალდაკვალ იცვლება, როგორც ინსტრუმენტები, ასევე სტრატეგია. თანამედროვე საფრთხეების ჰიბრიდიზაცია ხელს უწყობს კონფლიქტების გააზრების ახალი ანალიტიკური მიდგომის ჩამოყალიბებას. უსაფრთხოების თანამედროვე საკითხების კონტექსტი მოიცავს თანამედროვე

კონფლიქტების ასიმეტრიული ბუნების, კულტურული განსხვავებების, საინფორმაციო კომპონენტებისა და გლობალიზაციის ე.წ. გვერდითი ეფექტების გაანალიზებას.

კაცობრიობის განვითარების ისტორიის მანძილზე, ჰიბრიდული ომის კომპონენტები, ამა თუ იმ ფორმით, ყოველთვის იყო, მაგრამ ოფიციალური აღიარება „ჰიბრიდულმა ქმედებებმა“ მხოლოდ მე-20-21-ე საუკუნეების მიჯნაზე მოიპოვა. განსაკუთრებით საყურადღებოა ფრენკ ჰოფმანის, ვალერი გერასიმოვის, უილიამ ნემეტის და სხვათა მიდგომები. ცნებები: "ჰიბრიდული ოპერაციები" და "ჰიბრიდული ომი", პირველად გამოიყენა აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის პოლკოვნიკი უილიამ ჯ. ნემეტმა 2002 წელს თავის ნაშრომში „მომავალი ომი და ჩეჩნეთი: ჰიბრიდული ომის საფუძველი“ (Nemeth, William J. 2002) - ვაშინგტონის ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის მკვლევარი ფრენკ ჰოფმანი საუბრობდა ერთდროულად ომისა და მშვიდობის მდგომარეობის თანაარსებობაზე, ასევე ომის წარმოებისას საზღვრის გაქრობაზე სამხედრო და სამოქალაქო დაპირისპირებას შორის, აგრეთვე, იმაზეც, რომ თანამედროვე კონფლიქტებში სახელმწიფო კარგავს მონოპოლიას ძალადობაზე, რაც დაკავშირებულია ომში არასახელმწიფო ერთეულების მონაწილეობასთან (Hoffman, F. G. 2007).

რუსეთის ფედერაციის არმიის გენერალი ვალერი გერასიმოვი თავის სტატიაში „მეცნიერების ფასეულობა განჭვრეტის უნარშია“ (Валерий Герасимов, 2013), მართალია, არ იყენებს ტერმინს „ჰიბრიდული ომი“, მაგრამ მომავლის ომების ევოლუციის შესახებ მის მიერ მიცემული ინსტრუქციების გაანალიზებისას ეჭვგარეშეა საუბრობს ე.წ. ჰიბრიდული ომის ფენომენისთვის დამახასიათებელ ელემენტებზე. გერასიმოვის მიხედვით, მომავლის ომებს წინ აღარ უსწრებს მათი გამოცხადების ფორმალური აქტი, როგორც ეს ადრე იყო. ახალი ტიპის კონფლიქტების ნიმუშად გერასიმოვს მოჰყავს ჩრდილოეთ აფრიკის მოვლენები და ახლო აღმოსავლეთის ე.წ. „არაბული გაზაფხული“. მისი აზრით, ომის წესები შეიცვალა. ომის არასამხედრო საშუალებები გადამწყვეტი მნიშვნელობის გახდა. სულ უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა სხვადასხვა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, ჰუმანიტარულმა, საინფორმაციო და სხვა ინსტრუმენტებმა. ისინი გამოიყენება კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობის განწყობების მანიპულირების ტექნიკებთან ერთად.

2.3. ჰიბრიდული ქმედებების იდენტიფიცირების პრობლემატიკა

გლობალიზაცია, ტექნოლოგიური განვითარება, კიბერრევოლუცია, ახალი მედიასაშუალებების გაჩენა, ეროვნული საზღვრების გაბუნდოვნება და მაღალი შემოსავლის მქონე არასახელმწიფო აქტორების ფორმირება - ეს ყოველივე სხვადასხვა სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად ჰიბრიდული ომების წარმოების ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის. კონფლიქტების ჰიბრიდულობა იწვევს გამოყენებული აქტივობების მრავალფეროვნებას და სირთულეს. ოფიციალურად არ ცხადდება არც სახელმწიფო

კრიზისი, არც საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, შესაბამისად, რთულდება პრევენციული ან კონტრზომების მიღება. ასეთი ასიმეტრიული, არატრადიციული მეთოდების გამოყენების მიზანია მოწინააღმდეგის მხრიდან ეროვნულ დონეზე საპასუხო, ერთიანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სირთულეების გამოწვევა. თანამედროვე სამყაროში სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს საფრთხეები, რომლებიც ხასიათდება მოულოდნელობით, არატრადიციული ქმედებებით და ასიმეტრიული ბუნებით. ჰიბრიდული ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს ის, რომ საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში მისი მოქცევა შეუძლებელია. ამ ფაქტორით წარმატებით სარგებლობენ ჰიბრიდული ომის მწარმოებლები. ისინი თავიანთ ინსტრუმენტებად ყველაზე ხშირად იყენებენ ჰიბრიდული ომის საინფორმაციო კომპონენტებს: ტრადიციულ, ციფრულ და სოციალურ მედიას. საკუთარი მიზნების მისაღწევად აგრესორი იყენებს ყველა ხელსაწყოს, რომლითაც შესაძლებელია ჰიბრიდული ქმედებების განხორციელება. ეს იქნება ე.წ. რბილი ძალა, რადიკალიზმისა და მანიპულაციისადმი მიდრეკილი ჯგუფების დაქირავება, მასმედიის საშუალებების მოსყიდვა, ასევე, სხვადასხვა ორგანიზაციები, ტერორისტული დაჯგუფებები და ა.შ.. ჰიბრიდულობა წარმოადგენს რთულ და მრავალმხრივ აქტივობას. ოფიციალურად ომის და საგანგებო მდგომარეობის არგამოცხადება ართულებს საერთაშორისო სამართლის ამოქმედებას და სხვა ეფექტური კონტრზომების მიღებას.

3. საინფორმაციო ომი, დეზინფორმაცია და დემოკრატიის მოწყვლადობა

3.1. დეზინფორმაციის ბუნება და გავლენა

დეზინფორმაციის გავრცელება მთავარი გამოწვევა გახდა დემოკრატიებისთვის და ლიბერალურ საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგისთვის. ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი ევოლუციით, დეზინფორმაცია საზოგადოებრივი აზრის ფორმირების, არჩევნებზე ზემოქმედებისა და საზოგადოებების დესტაბილიზაციის ძირითადი ინსტრუმენტი გახდა. სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორები იყენებენ სოციალური მედიის პლატფორმებს დეზინფორმაციის გასავრცელებლად, რაც ამძაფრებს საზოგადოებებში, ასევე სახელმწიფოებს შორის განხეთქილებას. მიუხედავად იმისა, რომ დეზინფორმაცია არ არის ახალი ფენომენი, ციფრულ ეპოქაში მისი გავრცელების მასშტაბები და სიჩქარე მას მეტად ქმედუნარიანს და ძნელად დასამარცხებელს ხდის.

ციფრული სიძულვილის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის მიერ 2023 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ისრაელ-ჰამასის კონფლიქტთან დაკავშირებული სიძულვილის ენისა და დეზინფორმაციის 200 შემთხვევიდან მხოლოდ ოთხი ამოიღეს სოციალური ქსელიდან გამოქვეყნებიდან ერთი კვირის შემდეგ, რის გამოც თითქმის ყველა ნიუსი

საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი დარჩა. ეს მაგალითი მიუთითებს ყოვლისმომცველი სტრატეგიების დანერგვის აუცილებლობაზე დეზინფორმაციასთან საბრძოლველად და დემოკრატიული სისტემების ინტერესების დასაცავად.

დეზინფორმაცია ვრცელდება ექვსჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ფაქტობრივი ინფორმაცია, რაც განსაკუთრებით ართულებს კონტრზომების მიღებას. კვლევების თანახმად, ფაქტების შემოწმება ეფექტური რომ იყოს, შესწორებები უნდა განხორციელდეს ყალბი ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ერთ-ორ საათში. თუმცა, მაშინაც კი, როდესაც ფაქტების შემოწმება შესაძლებელია, ისინი სრულად მაინც ვერ დაიცავენ დეზინფორმაციული ოპერაციების მიმართ ყველაზე დაუცველ აუდიტორიას. ცრუ შეხედულებების გამოსწორების ნაცვლად, გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელებამ შეიძლება ზოგჯერ დეზინფორმაციული ნარატივი გააძლიეროს, განსაკუთრებით იმ ადამიანებში, რომლებიც ამას პოლიტიკურად მოტივირებულად აღიქვამენ.

ფაქტების შემოწმების პოლიტიზაცია ართულებს დეზინფორმაციასთან ბრძოლის ეფექტურობას. ზოგჯერ პოლიტიკურად ან სხვა შეხედულებებისადმი მიკერძოებულ ადამიანებს სჯერათ, რომ ფაქტების შემოწმება ტენდენციურია. მოსაზრება, რომ მედიაინსტიტუტები და ფაქტების შემმოწმებელი სააგენტოები მიკერძოებულები არიან, ძირს უთხრის საზოგადოების ნდობას და დეზინფორმაციის გამავრცელებლების წისქვილზე ასხამს წყალს. ეს რეალობა ადასტურებს ინფორმაციის გამჭვირვალე და მიუკერძოებელი გადამოწმების სანდო მექანიზმების დანერგვის აუცილებლობას.

დეზინფორმაციული ძალისხმევა ყოველთვის იყენებს საზოგადოებების მოწყვლადობას ამა თუ იმ საკითხისადმი. საინფორმაციო ომის მწარმოებელთა მიზანი სხვადასხვაა: არჩევნების შედეგზე გავლენის მოხდენა, დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი ნდობის განადგურება და ამით გრძელვადიანი არასტაბილურობის შექმნა. ავტოკრატიულ და დაბალი დემოკრატიის ქვეყნებში საინფორმაციო ომს ორი მიზანი აქვს: ქვეყნის შიგნით იგი აძლიერებს მმართველი პარტიის ლეგიტიმაციას ცენზურის და პროპაგანდის მეშვეობით; საერთაშორისო დონეზე ის ცდილობს ჩამოაყალიბოს ავტორიტარული სახელმწიფოს გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მიზნებისთვის სასურველი საზოგადოებრივი აღქმა. ამგვარი საინფორმაციო ომის სტრატეგიის მთავარი ასპექტია სამი ომის დოქტრინა, რომელიც მოიცავს ფსიქოლოგიურ ომს, მედია ომს და ლეგალურ ომს. ფსიქოლოგიური ომი მიზნად ისახავს მოწინააღმდეგის დემორალიზებას მიზანმიმართული დეზინფორმაციითა და პროპაგანდით. მედია ომი იყენებს სახელმწიფო მედიას და ციფრულ პლატფორმებს ავტორიტარული სახელმწიფოსთვის სასურველი აღქმის ჩამოსაყალიბებლად. სამართლებრივი ომი მოიცავს საერთაშორისო კანონებითა და ნორმებით მანიპულირებას ავტორიტარული ქვეყნის ქმედებების გასამართლებლად და მისი კრიტიკოსების

დელეგიტიმაციისთვის. გეოპოლიტიკურ კონფლიქტებში სტრატეგიული უპირატესობის შესაქმნელად ეს სამი კომპონენტი ერთად მუშაობს.

მაგალითად, 2020 წელს ჩინეთმა აწარმოა დეზინფორმაციული კამპანიები იაპონიის წინააღმდეგ და გაავრცელა შეცდომაში შემყვანი ცნობები მთავრობის მიერ COVID-19-ის პრობლემის მოგვარების შესახებ მოქალაქეებში დაბნეულობისა და უნდობლობის დასათესად. ანალოგიურად, იაპონიაში, ჩინეთის სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი მედია ავრცელებდა ცრუ პრეტენზიებს ფუკუშიმას ატომური ელექტროსადგურიდან წყლის ოკეანაში ჩაღვრის და ამის გამო წყნარ ოკეანეში რადიაციული რისკების მატების შესახებ. ეს ნარატივები მიზნად ისახავდა, შეესუსტებინა ნდობა დემოკრატიული მთავრობების მიმართ რეგიონულ დონეზე და ასევე ხელი შეეწყო ჩინეთის გლობალური გავლენის გაძლიერებისთვის.

დეზინფორმაციის მზარდი საფრთხის დასაძლევად დემოკრატიულმა ქვეყნებმა უნდა შეიმუშაონ ყოვლისმომცველი და კოორდინირებული მიდგომა. მედიაწიგნიერებისა და ციფრული ცნობიერების გაძლიერება აუცილებელია მოქალაქეების ცნობიერების გაზრდისა და საინფორმაციო ომისადმი საზოგადოების მოწყვლადობის შესამცირებლად. მთავრობებმა უნდა განახორციელონ ინვესტიცია კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის და განავითარონ ინსტრუმენტები დეზინფორმაციული კამპანიების აღმოსაჩენად და გასანეიტრალებლად. აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისება, მით უფრო, იმ რეალობის ფონზე, რომ გლობალიზაციისა და ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში, ენობრივი ბარიერი აღარ თამაშობს გარე ჩარევისგან ბუნებრივი დაცვის როლს.

დეზინფორმაციული კამპანიები სულ უფრო დახვეწილი ხდება, დემოკრატიულმა ქვეყნებმა უნდა აღიარონ ამ საფრთხის სერიოზულობა და მიიღონ ზომები თავიანთი ინსტიტუტების დასაცავად. კოორდინირებული ძალისხმევის გარეშე, ინფორმაციის იარაღად გამოყენებით გაგრძელდება მოსახლეობის ნდობის შესუსტება დემოკრატიულ საზოგადოებებში და გაიზრდება დესტაბილიზაციის რისკები.

3.2. ჰიბრიდული საფრთხეები - ომი დემოკრატიის წინააღმდეგ

გლობალიზაციის პროცესებისა და ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად საინფორმაციო ომის მექანიზმები სწრაფად განიცდის ცვლილებას. სოციალურმა მედიამ და გენერაციულმა ხელოვნურმა ინტელექტმა ავტორიტარულ რეჟიმებს არაჩვეულებრივად ძლიერი იარაღი მისცა. მათი გამოყენების სიხშირე იმდენად დიდ საფრთხეს უქადის საზოგადოებასა და ქვეყნებს, რომ სპეციალისტთა ნაწილი, მათ შორის, Sciences Po Paris-ის პროფესორი დევიდ კოლონი „საგანგებო საინფორმაციო მდგომარეობის“ გამოცხადების

იდეით გამოდის (Colon David, 2023). დიდი ხნის განმავლობაში საინფორმაციო ომი, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის გამოყენებას მოწინააღმდეგისთვის ზიანის მიყენების ან მისი ნების დაქვემდებარების მიზნით, წარმოადგენდა სამხედრო-კონვენციური ომის გაგრძელებას. ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახადა, საინფორმაციო ომი იწარმოოს ავტონომიურად, კონვენციური ომის გარეშე. საერთაშორისო მედიისა და ინტერნეტის საშუალებით საინფორმაციო ომი კონვენციური ომის შემცვლელი გახდა.

მე-20 საუკუნის დასასრულს მიიჩნეოდა, რომ 1990-იან წლებში ცივი ომის დასრულება ავტომატურად ნიშნავდა მსოფლიოში ავტორიტარული რეჟიმების დასასრულს. „გლობალურ“ ინფორმაციაზე წვდომა განიხილებოდა, როგორც ყველაზე საიმედო გზა ამ მიზნის მისაღწევად, თუმცა კაცობრიობა სხვა გამოწვევების წინაშე დადგა. ჰიბრიდულმა საფრთხეებმა და საინფორმაციო ომმა სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა. ავტორიტარულმა რეჟიმებმა ინფორმაცია ეგზისტენციალურ საფრთხედ აღიქვეს. მათ მიიღეს ზომები, რომ, ერთი მხრივ, „დაეცვათ“ საკუთარი მოსახლეობა უცხოური ინფორმაციის ჩარევისგან და, მეორე მხრივ, განახორციელეს ღონისძიებები დემოკრატიის წინააღმდეგ საინფორმაციო ომის დასაწყებად. ამ პერიოდის ერთ-ერთ პირველ საინფორმაციო დაპირისპირებად მიიჩნევა სპარსეთის ყურის ომი. 1990 წლის ოქტომბერში ქუვეითმა დაიქირავა მსხვილი ამერიკული საკომუნიკაციო სააგენტო, რათა გავლენა მოეხდინა ამერიკის საზოგადოებრივ აზრზე მის სასარგებლოდ (COLON David, 2020).

დღეს ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლაში, პირველ რიგში, აუცილებელია, დემოკრატიებმა აღიარონ, რომ რომ ისინი ომში არიან. სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ დემოკრატიულ ქვეყნებს ამ ბრძოლაში არ აქვთ ისეთი შესაძლებლობები, როგორიც ავტორიტარულ რეჟიმებს. დემოკრატიული მედია, რომელიც მოქცეულია კანონმდებლობის და ანგარიშვალდებულების ჩარჩოებში, საკუთარ თავს არ აძლევს მანიპულირების ან მასობრივი დეზინფორმაციის გავრცელების უფლებას. შესაბამისად, დემოკრატიულ ქვეყნებში საინფორმაციო ომთან ბრძოლის პრიორიტეტი უფრო თავდაცვითია და ნაკლებად - შეტევითი. ჰიბრიდულ და საინფორმაციო ომის საფრთხეებთან ბრძოლის მეთოდების არსენალი მოიცავს საინფორმაციო სივრცის დაცულობას უცხოური მავნე ჩარევისგან, ასევე მედია გამჭვირვალობას, კანონმდებლობის ჩარჩოებში მოქცეულ მეტ ზეწოლას სოციალური სივრცის პლატფორმებზე, რათა შეზღუდოს შეთქმულების თეორიების გავრცელება, და ა.შ.. უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის მსოფლიოში არსად არსებობს საინფორმაციო ომთან ბრძოლის უნივერსალური მეთოდიკა. ეს უფრო არის სხვადასხვა ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც, გარემოებათა მიხედვით, მეტნაკლებად ეფექტურია. მიუხედავად ჰიბრიდული საფრთხეების აქტუალობისა, მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა არ იყოს გამოყენებული გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საბაბად. ისეთი ჰიბრიდული საფრთხეები, როგორიცაა

საინფორმაციო ომის ინსტრუმენტები: დეზინფორმაცია და ყალბი ამბები, საშიშროებას წარმოადგენს მედიისა და დემოკრატიისთვის. ეს მოცემულობა გლობალურად საფრთხეს უქმნის დემოკრატიის მომავალს. დეზინფორმაციას აქვს სერიოზული შედეგები დემოკრატიულ ცხოვრებაზე იმ კუთხითაც, რომ ის იწვევს მოსახლეობის სიძულვილისკენ წახალისებას. არა მარტო საინფორმაციო ომის ინსტრუმენტები, არამედ მათ წინააღმდეგ ბრძოლაც საფრთხეა დემოკრატიისთვის, რადგან ამ ბრძოლის პროცესში შესაძლოა, დაზიანდეს ადამიანის უფლებები, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. გამოდის, რომ არა მარტო საინფორმაციო ომი, ასევე მის წინააღმდეგ ბრძოლის გზებიც ემუქრება დემოკრატიას. ოქროს შუალედის პოვნა სტრატეგიულად აუცილებელია.

3.3. ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის გზები

ჰიბრიდული და საინფორმაციო ომის არსენალში მრავალი იარაღი და მეთოდია. ერთ-ერთი მათგანია ე.წ. ინფორმაციის გათეთრება. ამ დროს ხდება მიკერძოებული, ყალბი ან ჰიპერპაქტიული ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება ტრადიციული, სანდო და აღიარებული მედიასაშუალების მეშვეობით, ხოლო შემდეგ სოციალურ ქსელებში მისი გავრცელება სამიზნედ შერჩეულ აუდიტორიაზე მეტი გავლენის მოსახდენად.

თანამედროვე მედიასივრცე კიდევ უფრო მოწყვლადია ჰიბრიდული საფრთხეებისადმი, ვიდრე ადრე. დღეს ციფრული ტექნოლოგიები და სოციალური პლატფორმები იძლევა საშუალებას, ერთი და იგივე ინფორმაცია ერთდროულად და განმეორებადად მრავალი არხით გადაიცეს. მას შემდეგ, რაც ინფორმაცია გადაიცემა ოფიციალურ მედიასაშუალებში, ის შეიძლება გავრცელდეს სხვადასხვა პლატფორმებზე. არ აქვს მნიშვნელობა, რომელ საათზე გავიდა სატელევიზიო ეთერში - ე.წ. ფრაიმთაიმში თუ ჩვეულებრივ დროს, დაიბეჭდა გაზეთის მოწინავე, თუ არასტრატეგიულ შუა გვერდებზე, მთავარია, ეს სიუჟეტი თუ ნიუსი მეორადად მოხვდეს სოციალურ ქსელებში და მიეწოდოს აუდიტორიას. ამ გზით სასურველი საზოგადოებრივი აზრის შექმნა გარანტირებულია. კიდევ ერთი პრობლემა ის არის, რომ როგორც მედიასაშუალებები, ასევე ჟურნალისტთა კორპუსი მოწყვლადია ჰიბრიდული საფრთხეების მიმართ. საინფორმაციო ომის მწარმოებელთათვის ჟურნალისტის მოსყიდვა „იაფია“.

დეზინფორმაციასთან, ყალბ ამბებთან და საინფორმაციო ომის სხვა ტექნიკებთან ბრძოლაში პირველი ნაბიჯი შეიძლება იყოს სოციალური ქსელების წახალისება, რათა ყალბი ინფორმაცია ნაკლებად ხილული გახადონ. დღეს ალგორითმები უპირატესობას ანიჭებენ ყველაზე პოლარიზებულ და ემოციურად მიმზიდველ შინაარსს, რაც ყალბ ამბებს ხშირად ახასიათებს. ბრძოლის კიდევ ერთი ეფექტური მეთოდია საზოგადოებაში მოსახლეობის კრიტიკული სულისკვეთების გაძლიერება. მცდარი ინფორმაციის უმეტესობა გარკვეულ შემეცნებით მიკერძოებებზე დაყრდნობით აღწევს დამაჯერებლობას. საზოგადოება

განსაკუთრებით ყურადღებიანი უნდა იყოს საკუთარი ნდობის მინიჭების მიმართ. ინფორმაციის თითოეულმა მომხმარებელმა უნდა ჰკითხოს საკუთარ თავს, რა კრიტერიუმებით და რამდენად რაციონალურად ანიჭებს ნდობას ამა თუ იმ მედიასაშუალებასა თუ სოციალურ პლატფორმას და რამდენად სარწმუნო შეიძლება, იყოს მათი გავრცელებული ინფორმაცია.

დაბალი დემოკრატიის და ავტორიტარულ ქვეყნებში დეზინფორმაციასთან ბრძოლის საფარქვეშ სხვა მიზნები იმალება. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში დეზინფორმაციასთან ბრძოლის სახელით ხისტი და ადამიანის უფლებების მაიგნორირებელი მეთოდების გამოყენება ხდება. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას შეიარაღებული ძალების შესახებ ნებისმიერი შეუსაბამო ინფორმაციისთვის (Уголовный кодекс Российской Федерации", 1996) უკრაინის კრიზისმა ხაზი გაუსვა ინფორმაციული ბრძოლის მნიშვნელობას. ვის შეუძლია, სერიოზულად დაიჯეროს, რომ რუსეთი აწარმოებს თავდაცვით ომს უკრაინელი ნაცისტების წინააღმდეგ, გარდა იმ უმცირესობისა, რომელიც მზადაა, იდეოლოგიური მიზეზების გამო „ირწმუნოს“პუტინის ნებისმიერი სიტყვა?!

ჰიბრიდულ საფრთხეებზე საუბრისას საყურადღებოა დეზინფორმაციისა და რელატივიზმის კორელაცია. რელატივიზმი წარმოადგენს ფილოსოფიურ შეხედულებათა ერთობლიობას, რომელიც უარყოფს ობიექტურობას და ამტკიცებს, რომ ფაქტები რელატიურია ანუ განსხვავებულად აღიქმება დამკვირვებლის პერსპექტივისა და იმ გარემოს კონტექსტის მიხედვით, რომელშიც წარმოდგენილია ისინი. რაც მეტი დეზინფორმაცია მიეწოდება აუდიტორიას, ეს უკანასკნელი ყოველ მომდევნო ჯერზე მით უფრო მეტად მოწყვლადი ხდება ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტებისადმი. შეტყობინების გამეორება საბოლოოდ იწვევს გარკვეულ მიჩვევას და სანდოობის ჩამოყალიბებას. მაშინაც კი, როცა გვაქვს მიზეზი, რომ რაღაც ინფორმაცია არ ვირწმუნოთ, მაინც ჩნდება ეჭვი - რატომ არ დავიჯეროთ?! ეჭვი კი ნებას ასუსტებს. სწორედ ამ რთულ მანიპულაციებს იყენებენ ჰიბრიდული ომის მწარმოებლები თავიანთი მიზნების მისაღწევად და, საკუთარი ამოცანების შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის როგორც გასაქარწყლებლად, ასევე დასამკვიდრებლად.

საზოგადოება, რომელიც მუდმივად იმყოფება ჰიბრიდული საფრთხეების გავლენის ქვეშ, სულ უფრო მიდრეკილი ხდება მავნე რელატივიზმისკენ და საჯარო დებატებს თავს არიდებს იმ მოტივით, რომ მის წარმოსახვაში უკვე „ყველა იტყუება“. დემოკრატიის ბუნება არის რაც შეიძლება ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფა გონების მეშვეობით ჭეშმარიტების მიღწევის მცდელობაში. რელატივიზმი კი დემოკრატიის ყველაზე დიდი მტერია. საინფორმაციო ომი, პირველ რიგში, სწორედ ამ რელატივიზმის წახალისებას ცდილობს.

დემოკრატიების კიდევ ერთი მთავარი წინააღმდეგობა არის ცენზურის დელეგირება კერძო სოციალურ ქსელებზე. ბრმა ცენზურა, რომელიც გამოწვეულია ხელოვნური ინტელექტით, იდეოლოგიური ცენზურა, რომელიც შთაგონებულია გარკვეული მოსაზრებების კრიმინალიზაციით, ასევე მორალური ცენზურა და ა.შ. დიდი დემოკრატიების საინფორმაციო სისტემის წინააღმდეგობები კვებავს შეთქმულებების თეორიების გავრცელებას და ექვემდებარება მათ გარე ინსტრუმენტალიზაციას. ჟურნალისტები, ზოგჯერ თავიანთი სუბიექტური გადაწყვეტილებით, ზოგჯერ კი შეგნებულად, საინფორმაციო ომის მიზნებისთვის ავრცელებენ დეზეინფორმაციას. შესაბამისად, მედიასაშუალებები კარგავენ ნდობას. ძლიერ დემოკრატიას სჭირდება ინსტრუმენტალიზაციისა და ყალბი ინფორმაციისგან დაცული ჟურნალისტები.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად მედიაში ფაქტების გადამოწმების სასარგებლო ინიციატივები ხორციელდება, მაგრამ მათ ხარვეზებიც ახლავს. ამ ინსტრუმენტების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით შესაძლოა, საზოგადოებაში შეიქმნას თავდაპირველი მიკერძოების შთაბეჭდილება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი „შემოწმებები“ შემდგომში უარყოფილ იქნა, რამაც მათი ავტორიტეტი შეარყია. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიდგომა საჭიროებს გარკვეულ კორექტირებას, ის მაინც რჩება ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულად.

საინფორმაციო ომთან და დეზინფორმაციასთან ბრძოლის საქმეში აუცილებელია, არ იქნას გამოყენებული მისივე მეთოდები. რა სარგებლობა მოაქვს ოპონენტების დამარცხებას, თუ მათნაირი გახდები? დემოკრატიას აქვს ვალდებულება, ებრძოლოს დეზინფორმაციას დეზინფორმაციის გამოყენების გარეშე.

4. თანამედროვე მსოფლიოს საინფორმაციო კრიზისი

4.1. თანამედროვე მედიის გამოწვევები

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიები ელვის სისწრაფით ვითარდება და ინფორმაციის მანამდე არნახული ნაკადია მიმოქცევაში, კაცობრიობას დღეს უწევს ცხოვრება საინფორმაციო კრიზისში, რაც დიდ საფრთხეს უქმნის დემოკრატიას. ამ კრიზისის მიზეზებს მეცნიერთა ნაწილი შემდეგ პუნქტებად აყალიბებს (Sonnac Nathalie, 2023).

1. ციფრული ტექნოლოგიების ზრდამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ტრადიციული მედიის ადგილი და შეაფერხა ინფორმაციის მიმოქცევის სიჩქარე. ის გახდა დამოკიდებულების წყარო სოციალური ქსელების ეპოქაში და, ბოლო კვლევების მიხედვით, მოსახლეობის

ნახევარში ე.წ. საინფორმაციო დაღლილობა შექმნა. მაგალითად, საფრანგეთში ჩატარებული უახლესი კვლევით 2 ფრანგიდან 1 ინფორმაციულ დაღლილობას განიცდის.

2. შეიცვალა ინფორმაციის მიღების არხები. ტრადიციულმა თანდათან დათმო პოზიციები.

3. თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელია ეკონომიკური მოდელების რღვევა - მომხმარებელთა რაოდენობა სტრატეგიულ აქტივს წარმოადგენს ციფრული პლატფორმებისთვის, რომლებიც მიჰყვება ერთადერთ ლოგიკას - მოგებას. შესაბამისად, ციფრულმა პლატფორმებმა გადაწყვიტეს, კარგად ინფორმირებული მოქალაქეები გაიყვანონ თამაშიდან, კარგად მართული მოქალაქეების სასარგებლოდ. თანამედროვე სოცმედია დაფუძნებულია არა ჟურნალისტურ ეთიკაზე, არამედ ყურადღების მიპყრობაზე. ახალმა საინფორმაციო ეკონომიკამ, ციფრულმა მოთამაშეებმა, ისწავლეს მოქალაქეთა შემეცნებითი მიკერძოებისა და მათი პირადი მონაცემების საკუთარი მიზნების სასარგებლოდ გამოყენება.

4. შეინიშნება ე.წ. საინფორმაციო ხარვეზი - ახლა ყველა ადამიანს, ციფრული პლატფორმების წყალობით შეუძლია შექმნას, აწარმოოს და გაავრცელოს ახალი ამბები ფართო აუდიტორიისთვის. აქტორი შეიძლება, გახდეს ნებისმიერი, ხშირად ანონიმური პირი, რომელიც ყალბ ამბებს - უნებლიედ ან მიზანმიმართულად ავრცელებს. კაცობრიობა შევიდა ჰიპერინფორმაციის ეპოქაში, ჰორიზონტალური, არასტრუქტურირებული, არარედაქტირებული ინფორმაციის ნაკადის ერაში, სადაც ალგორითმები, ხელოვნური ინტელექტი და ადამიანური რესურსები ეშმაკურად ახარისხებენ და ავრცელებენ ინფორმაციას. ნებისმიერი პირი ან საზოგადოება შეიძლება, გახდეს საინფორმაციო ომის აქტორი - ზოგი, როგორც დაუცველი მსხვერპლი, ხოლო ზოგი, როგორც საინფორმაციო ომის მწარმოებელი.

„ინფორმაციული დაღლილობა“ და საინფორმაციო კრიზისი, პირველ რიგში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხია. მიიჩნევა, რომ ჰიპერინფორმირებულობა ადამიანებს უფრო სტრესულს, დეპრესიულს და გარემოს მიმართ ნაკლებად ყურადღებიანს ხდის. ეს ჩვენი დროის პარადოქსია: არასდროს გვქონია ამდენი ინფორმაცია და ამ ჭარბი ინფორმაციის მიუხედავად, სულ უფრო ნაკლებად გვესმის, თუ რა ხდება ჩვენს გარშემო. ეს მოცემულობა აყალიბებს მედიისადმი უნდობლობას და საინფორმაციო კრიზისს, რაც დემოკრატიისთვის საშიშია. საინფორმაციო კრიზისი ტრადიციული მედიის მიმართ ფართო უნდობლობაში ვლინდება. 28 ქვეყანაში 33000-ზე მეტი ადამიანის გამოკითხვამ აჩვენა, რომ მედია ახლა ყველაზე ნაკლებად სანდო ინსტიტუტია. ადამიანთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ყველაზე ხშირად, სიფრთხილეა საჭირო იმის მიმართ, თუ რას ამბობს მედია მთავარ აქტუალურ საკითხებზე (Edelman Trust Barometer, 2018). ინფორმაციული კრიზისი გაჟღენთილია რელატივიზმით, ირაციონალურობით, შეთქმულებების თეორიებით,

მანიპულაციებით, ექსტრემიზმით, გულგრილობითა და აპათიით, რომლებიც დემოკრატიისთვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. დღეს ჩვენ რეალური საინფორმაციო ომის წინაშე ვდგავართ. სიმართლეს ბევრი მტერი ჰყავს: სოციალური ქსელის გაუმჭვირვალე ალგორითმები, ხელოვნური ინტელექტის მიერ წარმოებული კონტენტი, ყალბი ამბებისა და დეზინფორმაციის საყოველთაოდ გავრცელება. სიმართლისა და სიცრუის ამოცნობა სპეციფიკურ უნარებს მოითხოვს. კრიზისის საწინააღმდეგო ღონისძიებებია: 1.საყოველთაო გავხადოთ საინფორმაციო განათლება; 2. ჟურნალისტური ეთიკისა და პროფესიული ქცევის სწავლება-ტრენინგები მედიასაშუალებების მუშაკებისთვის; 3. ალგორითმების და ხელოვნური ინტელექტის მენტორირება. 4. მედიის დამოუკიდებლობისა და პლურალიზმის შენარჩუნება სარედაქციო კოლეგიების ფართო უფლებებით; 5. საინფორმაციო ბაზრის გადახალისება და ინფორმაციის ეკონომიკური მოდელების ხელახლა ჩამოყალიბება - შეიქმნას ისეთი საინფორმაციო მოდელი, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს დამოუკიდებელი, თავისუფალი და სანდო ინფორმაციის ფუნდამენტური უფლების განხორციელებას.

4.2. ციფრული ეპოქის უარყოფითი ასპექტები

ინფორმაციული ეპოქის უარყოფითი მხარეების არასრული ჩამონათვალი შემდეგია: სოციალური უნარების დაქვეითება ტექნოლოგიების გადაჭარბებული გამოყენების გამო, ტექნოლოგიაზე დამოკიდებულება, ინფორმაციის ძიების ზედაპირულობა, მონაცემთა კონფიდენციალურობისა და ონლაინ გაზიარებული პირადი ინფორმაციის უსაფრთხოების პრობლემები, სამუშაო ადგილების დაკარგვის საფრთხე და ა.შ.. ინფორმაციულმა ტექნოლოგიამ ჩვენი კომუნიკაციის, მუშაობისა და ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში რევოლუცია მოახდინა. საყურადღებოა ფიზიკური აქტივობის და სოციალიზაციის დაქვეითება, მიჯაჭვულობა ტექნოლოგიურ მოწყობილობებზე და ა.შ.. ინფორმაციული გადატვირთვა, ჩვეულებრივ, გამოწვეულია ინფორმაციის მრავალი წყაროს არსებობით, ინფორმაციისა და კონტენტის სიმრავლით, ინფორმაციის მართვისა და დახარისხების სირთულით, ინფორმაციის მომხმარებლების მიერ ინფორმაციის გასაანალიზებლად და გასაგებად საჭირო დროის სიმცირით.

ციფრულმა მედიამ მართლაც შექმნა უზარმაზარი შესაძლებლობები განათლებისთვის, მაგრამ, ამავე დროს, სწავლების ხარისხი ზოგჯერ შეიძლება სულაც არ იყოს ეფექტური. ხშირად მოსწავლეები „კოპი-ფეისტის“ პრინციპით ასრულებენ საშინაო დავალებებს მისი შინაარსის გაგების გარეშე. კომუნიკაციის თვალსაზრისით სოციალური მედია უზარმაზარ როლს თამაშობს მრავალი ადამიანისთვის. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ სოცქსელში მარტივადაა შესაძლებელი ნებისმიერმა პიროვნებამ ნებისმიერ ადამიანზე მოიძიოს ინფორმაცია, შესაძლოა, ეს ინფორმაცია საერთოდ არ იყოს სანდო. საყურადღებოა

ისიც, რომ ციფრული პლატფორმების ზედმეტად გამოყენებამ შეიძლება ადამიანებს თავი რეალობას მოწყვეტილი აგრძნობინოს. სოციალური მედია წარმოადგენს ერთმანეთის მიმართ ინტერესისა და სიყვარულის გამოხატვის საშუალებას, მაგრამ ასევე კონფლიქტების წამახალისებელ პლატფორმასაც. თანამედროვე გამოწვევაა ისიც, რომ ინფორმაციაზე მარტივი წვდომის გამო, ადამიანები ინტელექტუალურად ზარმაცდებიან. ეს მოცემულობა ადამიანებს აიძულებს, მარტივად დაიჯერონ ყველაფერი, რა ინფორმაციასაც ინტერნეტში ეცნობიან. უფრო მეტიც, ექიმებისთვის რთულია გაუმკლავდნენ პაციენტებს, რომლებიც საკუთარ თავს დიაგნოზირებენ ინტერნეტიდან მიღებული არასანდო ინფორმაციის საფუძველზე. ციფრულმა ეპოქამ თანდათან შეამცირა ადამიანების ყურადღების კონცენტრაციაც. ეს არის არასრული ჩამონათვალი ციფრული ეპოქის უარყოფითი ეფექტებისა, რომლებიც სერიოზულ კონკურენციაში შედის ციფრული ტექნოლოგიების სარგებელთან. ყველა ზემოთჩამოთვლილი ეფექტი თანამედროვე ჰიბრიდული საფრთხეების შემადგენელი ნაწილია.

ციფრული ეპოქის ჰიბრიდული გამოწვევები შემდეგნაირად შეიძლება, შევაჯამოთ:

1. ინფორმაციის გადატვირთვა: ხელმისაწვდომი ინფორმაციის დიდი რაოდენობის პირობებში რთული ხდება მისი გაფილტვრა და იმის დადგენა, თუ რომელია ზუსტი. ამან შეიძლება გამოიწვიოს ინფორმაციული გადატვირთვა, რაც ართულებს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას;
2. დეზინფორმაცია და ყალბი ამბები: ციფრულ ეპოქაში ინფორმაციის გავრცელების სიმარტივემ ასევე გამოიწვია დეზინფორმაციისა და ყალბი ამბების ზრდა. ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია ადვილად ვრცელდება და შეიძლება ჰქონდეს შორსმიმავალი უარყოფითი შედეგები ინდივიდებზე, საზოგადოებებზე და სახელმწიფოებზეც;
3. კონფიდენციალურობის პრობლემა: ციფრულმა ეპოქამ მნიშვნელოვანი საფრთხე შექმნა კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებით. მთავრობებისა და კორპორაციების მიერ დიდი რაოდენობით პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და შენახვის პირობებში, არსებობს ამ ინფორმაციის ბოროტად გამოყენების პოტენციალი;
4. კიბერუსაფრთხოების საფრთხეები: საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება იწვევს კიბერუსაფრთხოების სხვადასხვა საფრთხეებს. ისეთ მავნე აქტორებს, როგორებიცაა, მაგალითად, ჰაკერები, შეუძლიათ გამოიყენონ დაუცველობა ციფრულ სისტემებში, რათა მიიღონ არაავტორიზებული წვდომა სენსიტიურ ინფორმაციაზე;
5. სოციალური იზოლაცია: მიუხედავად გაზრდილი საკომუნიკაციო შესაძლებლობებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა, ინფორმაციის ხანა ასევე ასოცირდება სოციალურ იზოლაციასთან. ციფრული შინაარსის გადაჭარბებულმა

მოხმარებამ და ონლაინ ინტერაქციაზე დამოკიდებულებამ შეიძლება გამოიწვიოს პირდაპირი სოციალური ინტერაქციის შემცირება, რაც გავლენას ახდენს ფსიქიკურ კეთილდღეობაზე და პირად ურთიერთობებზე;

6. სამუშაოს ადგილების ლიკვიდაცია-მოდერნიზაცია: პროცესების ავტომატიზაციისა და დიგიტალიზაციის პირობებში ბევრი ტრადიციული სამუშაო ადგილი იცვლება ტექნოლოგიით, რაც იწვევს უმუშევრობას ან წარმოქმნის ინდივიდებისთვის საჭიროებას, შეიძინონ ახალი უნარები, რათა შეინარჩუნონ აქტუალობა სამუშაო ბაზარზე;
7. უთანასწორობა და ციფრული განხეთქილება: ყველას არ აქვს თანაბარი წვდომა ინფორმაციაზე და ტექნოლოგიებზე, რაც ქმნის ციფრულ უფსკრულს. მათ, ვისაც არ აქვს წვდომა სანდო ინტერნეტ კავშირებზე ან ციფრულ მოწყობილობებზე, შეიძლება გამოტოვონ ინფორმაციის ეპოქის მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობები და უპირატესობები, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს არსებულ სოციალურ უთანასწორობას;
8. ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა: ციფრული რეპროდუქციისა და გავრცელების სიმარტივე გამოწვევებს უქმნის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას. საავტორო უფლებებით დაცული მასალის არასანქცირებულმა კოპირებამ, გაზიარებამ და გავრცელებამ შეიძლება, ავტორებს მიაყენოს ფინანსური ზარალი;
9. დამოკიდებულების განვითარება: ციფრული მოწყობილობებისა და ინფორმაციის მუდმივი ხელმისაწვდომობა იწვევს დამოკიდებულებას. ტექნოლოგიების გადაჭარბებულმა და ხანგრძლივმა გამოყენებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადამიანების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, პროდუქტიულობაზე და მთლიან კეთილდღეობაზე.
10. ეთიკური დილემები: ინფორმაციის ეპოქამ წარმოშვა ახალი ეთიკური დილემები, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, მონაცემთა კონფიდენციალურობა, თვალთვალი და ციფრული მანიპულაციის ეთიკური შედეგები. ეს გამოწვევები მოითხოვს ეთიკური ჩარჩოებისა და რეგულაციების გულდასმით განხილვას ინფორმაციისა და ტექნოლოგიების პასუხისმგებლიანი და ეთიკური გამოყენების უზრუნველსაყოფად.

5. დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი საკითხია, როგორ გადალახონ დემოკრატიებმა ჰიბრიდული ომისა და დეზინფორმაციის გამოწვევები. ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში ჰიბრიდული საფრთხეები ყოველდღიურ მოვლენად იქცა. მისი ეფექტები შეიძლება არასწორად იქნას გაგებული იმ ინსტრუმენტების ნაკლებობის გამო, რომლითაც ხდება მათი გავლენის შეფასება, როგორ შეიძლება გადარჩეს

„დემოკრატიის“ ცნება ამ ახალ ციფრულ სამყაროში?! მთავარი გზა არის დემოკრატიული ინსტიტუტების მხრიდან მოქნილობა და ადაპტირების მეთოდების გამომუშავება.

ჩვენი თანამედროვე მოცემულობა მდგომარეობს იმაში, რომ დღეს ომი ყველგანაა. ბოლო წლებში გამოჩნდა ახალი ტერმინები, რომლებიც აღწერენ მუდმივი კონფლიქტის მდგომარეობას მთელ მსოფლიოში: ჰიბრიდული ომი, კიბერომი, ნაცრისფერი ზონის კონფლიქტები, დეზინფორმაცია, გავლენის ოპერაციები, მავნე აქტორები და ა.შ... ეს ფრაზები დამკვიდრდდა თანამედროვე ადამიანის ლექსიკონში, რათა განისაზღვროს სახელმწიფოებს და ინტერესთა ჯგუფებს შორის დაპირისპირების ახალი, შედარებით ბუნდოვანი კონცეფციები, რომლებიც ნორმად იქცა მშვიდობის დროს. უმეტესობა მათგანი მიეკუთვნება "ჰიბრიდული ომის" იდეას.

მშვიდობა, ტრადიციულად, ფასდებოდა, როგორც ომის არარსებობა. ამავდროულად, ომი, ათასწლეულების მანძილზე დამკვიდრებული კონცეფციით, არის კონფლიქტი, რომელიც ხასიათდება კინეტიკური ხასიათით და მოიცავს იარაღით საომარი მოქმედებების წარმოებას, ჯარების მონაწილეობას და ა.შ.. მაგრამ ჰიბრიდული ომი ცვლის ჩვენს წარმოდგენას მშვიდობიან დროზე. ჰიბრიდული ომი აბუნდოვანებს საზღვარს ომსა და მშვიდობას შორის და ზრდის გაურკვევლობას იმის შესახებ, თუ საიდან წარმოიქმნება შესაძლო ჰიბრიდული თავდასხმები არატრადიციული და ჩვეულებრივი ძალაუფლების ინსტრუმენტების შერწყმით. ჰიბრიდულ ომს მრავალი „საცეცი“ აქვს და ყველა მათგანი წარმოადგენს არატრადიციული ომის ტაქტიკებს. ჰიბრიდული არსენალიდან ყველაზე სახიფათო და ძლიერი ინსტრუმენტი ინფორმაციის იარაღად გამოყენებაა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მედიაში (ტრადიციულ და ციფრულ მედიასაშუალებებში) დეზინფორმაციის გავრცელება.

ჰიბრიდული საფრთხეები ბოლო ათწლეულის განმავლობაში მზარდია ციფრული ტექნოლოგიებისა და სოციალური მედიაპლატფორმების განვითარების პარალელურად. თუმცა ასევე იზრდება კაცობრიობის მიერ შემუშავებული სტრატეგიები ჰიბრიდულობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მიუხედავად იმისა, რომ ეს ზომები ეფექტურია დეზინფორმაციის წყაროების იდენტიფიცირებისთვის, მიწოდებული ინფორმაციის ადრესატებზე გავლენის შეფასების სრულყოფილი მექანიზმები ჯერ არ არის შემუშავებული.

ჰიბრიდული საფრთხეების უფრო მკაფიო განმარტებები და ჰიბრიდული კონფლიქტის შემადგენელი პარამეტრების უკეთ შესწავლა ხელს შეუწყობს იმ ბუნდოვანების დაძლევას, რომლის შექმნასაც ეს ტაქტიკები ცდილობენ. დეზინფორმაციის მონიტორინგისა და ანალიზის სისტემების განუხრელი სრულყოფა უზრუნველყოფს, როგორც პრევენციას, ასევე რისკებისა და რეაგირების ეფექტურობის შეფასებას. სწორედ ამ მონიტორინგისა და

ანალიზის მექანიზმების საფუძველზე შემუშავებული განახლებული წესებისა და რეგულაციების დანერგვა ხელს შეუწყობს საზოგადოების დაცვას და უსაფრთხოების სისტემების მოქნილობას, რაც აუცილებელია ახალ ციფრულ სამყაროში მათი ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის. დღეს დემოკრატიების სასიცოცხლო ამოცანა ჰიბრიდული საფრთხეების ოპერატიულად იდენტიფიცირება და სწორი კონტრზომების სწრაფად შემუშავებაა.

ჰიბრიდული საფრთხეები ასუსტებს დემოკრატიების საფუძვლებს და არღვევს იმ პრინციპებსა და უფლებებს, რომლებზეც ისინი დაფუძნდა. სწორედ ეს არის ჰიბრიდული ტაქტიკის არსი. საფრთხეების აქტუალობიდან გამომდინარე, ჩნდება შეკითხვა: საჭიროა თუ არა დემოკრატიის, როგორც კონცეფციის, გადახედვა?! პასუხი რთული, მაგრამ უკომპრომისოა - არ არის საჭირო. დემოკრატიები დღესაც ისეთივე აქტუალურია, როგორც ათასობით წლის წინ, როდესაც ათენში პირველი დემოკრატია დაიბადა. დემოკრატია შეუცვლელი ღირებულებაა, თუმცა რეგულაციები უნდა გადაიხედოს, რათა მოხდეს მათი სრულყოფა და მოერგოს ახალ ციფრულ რეალობას. ჰიბრიდული საფრთხეები გამოცდა და საცდურია დემოკრატიისთვის, რამდენად შეძლებს ის, შეინარჩუნოს საკუთარი ღირებულებები და არ გამოიყენოს მტერთან ბრძოლაში მოწინააღმდეგის მავნე, არადემოკრატიული მეთოდები, რითაც ბრძოლას აზრი საერთოდ დაეკარგება. დემოკრატია ამას შეძლებს, ის კაცობრიობის მთავარი მონაპოვარია.

ბიბლიოგრაფია

1. Bobrow D. B., Hali□ak E., Zi□ba R (1997) „Bezpiecze□stwo narodowe i mi□dzynarodowe u schy□ku XX wieku“, Wydawnictwo Naukowe SCHOLAR, Warszawa, pp 4-5, ISBN: 83-85838-98-8
2. Ben H.Bagdikian, . (2004). “War, Media, and Propaganda: A Global Perspective”, . Rowman & Littlefield Publishers.
3. Colon David (2020), *Propagande, la manipulation de masse dans le monde contemporain*, Paris, Belin, coll. Histoire).
4. Colon David (2023), Les États à la conquête de nos esprits, Tallandier, Géopolitique, XXème, XXIème, p. 477).
5. Edelman Trust Barometer, Global Report (2018), Retrieved from www.edelman.com
6. Hoffman, F. G. (2007). Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars. Potomac Institute for Policy Studies, Arlington, VA (2007) .
7. Hallin, D. and Mancini, R. (2004). „Comparing Media Systems: Three Models of Media and Politics“. Cambridge University Press.
8. Nemeth William J (2002) „Future war and Chechnya : a case for hybrid warfare“, Naval Postgraduate School Monterey, California.
9. Lichtenberg, (1990). Democracy and the Mass Media. Cambridge Studies in Philosophy and Public Policy, Cambridge University Press, Cambridge, UK.
10. Moore, M. (2018). Democracy Hacked: Political Turmoil and Information Warfare in the Digital Age. London: Oneworld.
11. Robertson, Geoffrey and Nicol, Andrew. (2008). 5th Ed. Media Law. London: Penguin.
12. Sonnac Nathalie, Le nouveau monde des médias. Une urgence démocratique, Odile Jacob, 2023, p. 153 – 154).
13. Sunstein, C., (2017). #Republic: Divided Democracy in the Age of Social Media. Princeton, NJ: Princeton University Press.
14. Wolin, S.S., (2008). Democracy Incorporated: Managed Democracy and the Spectre of Inverted Totalitarianism. Princeton, NJ: Princeton University Press.
15. Zuboff, S., (2019.) The Age of Surveillance Capitalism: The Fight for a Human Future at the New Frontier of Power. London: Profile Books.
16. Герасимов Валерий, «Ценность науки — в способности предвидеть», 27.02.2013, «Военно-промышленный курьер», Москва.
17. Niquet Valérie (2025), „Désinformation et guerre de l’information : un défi stratégique pour les démocraties », Retrieved from dakartimes.net
18. "Уголовный кодекс Российской Федерации" от 13.06.1996 N 63-ФЗ (1996), Retrieved from consultant.ru
19. ავტორთა კრებული (2021)"ჰიბრიდული ომების ანატომია", გამომცემლობა "პალიტრა L"
20. კერესელიძე ნ. (2019). „ინფორმაციული ომი, მოდელები, ავტომატიზებული სისტემა“. გამომცემლობა ინტელექტი.